ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

14 იანვარი 2026 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გიორგი გვასალია
3. გივი ლატარია
4. აკაკი მალანია
5. აკაკი ხურცილავა
6. ალიოშა საჯაია
7. მიმოზა ლემონჯავა
8. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა და განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო გეგმა მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. გამომსვლელი შემოვიდა ინიციატივით წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: **8** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და განაცხადა, რომ საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმა მომზადდა საკრებულოს წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2026 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა ინიციატივით, რომ წარმოდგენილი პროექტი ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი